ავტობიოგრაფია

ლევან ტაბიძე

მე, ლევან ალექსანდრეს ძე ტაბიძე, დავიბადე 1985 წლის 31 იანვარს ქალაქ ხონში.

2002 წელს წარჩინებით დავასრულე ქ. ხონის ივანე შარაშიძის სახელობის N1 გიმნაზია.

2002 წელს ჩავირიცხე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2007 წელს დავასრულე საგანმანათლებლო კურსის ხუთწლიანი (მაგისტრთან გათანაბრებული) პროგრამა და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, 2004 წლიდან საზოგადოებრივ საწყისებზე სტაჟირებას გავდიოდი ქუთაისის საოლქო სასამართლოში. 2005 წლის ივლისიდან ქუთაისის საოლქო სასამართლოს ლიკვიდაციამდე სახელშეკრულებო ვადით დასაქმებული ვიყავი კანცელარიის სპეციალისტის თანამდებობაზე. 2007 წლის 01 ნოემბრიდან კონკურსის საფუძველზე დავინიშნე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტის თანამდებობაზე. შემდგომში, 2008 წლიდან 2010 წლამდე ვმუშაობდი სასამართლოს სხდომის მდივნის პოზიციაზე იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, ხოლო 2011 წლიდან 2018 წლამდე საქმიანობა გავაგრძელე სასამართლო სხდომის მდივანის პოზიციაზე სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. 2018 წლის ივნისიდან დამეკისრა მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შესრულება, ხოლო 2018 წლის დეკემბრიდან კონკურსის საფუძველზე დავინიშნე მოსამართლის თანაშემწედ სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. დაკავებული თანამდებობიდან გავთავისუფლდი 2023 წლის 26 ოქტომბერს, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელად ჩარიცხვის საფუძველზე.

2010 წელს ჩავაბარე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით ჩატარებული პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2023 წლის 24 სექტემბერს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

სასამართლო სისტემაში მუშაობის პერიოდში ვესწრებოდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტრენინგებს და სემინარებს.

2023 წლის ოქტომბრიდან, 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე იუსტიციის მსმენელის სასწავლო კურსი.

ენების ცოდნა: ვფლობ მშობლიურ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს.

ოჯახური მდგომარეობა: მყავს მეუღლე და სამი შვილი.

ლევან ტაბიძე: